ეროვნული ბიბლიოთეკა

## მშვიდობისა და მეგობრობისათვის

მიმდინარე წლის 27 ივლისიდან 5 აგვისტომდე ჰელსინკში გაიმართება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VIII მსოფლიო ფესტივალი — მშვიდობისა და მეგობრობისათვის. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა ამჟამად გაცხოველებით ემზადება ამ ღირსშესანიშნავი დღესასწაულისათვის, რომელიც ყველა ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობის ახალი წვლილი იქნება ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ფესტივალის პროგრამაშია მასობრივი სპორტული შეჯიბრებები. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ გადაწყვიტა კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სპორტულ საზოგადოებებთან ერთად მოამზადოს VIII მსოფლიო ფესტივალში მონაწილე საბჭოთა სპორტსმენები და ფინეთში გაგზავნოს საბჭოთა ქვეყნის დელეგაცია 130 კაცის შემადგენლობით. დელეგაციაში შევლენ: საკავშირო სპორტკავშირის ხაზით — ფრენბურთელთა (ვაჟები), ფეხბურთელთა, ტანმოვარჯიშეთა გუნდები; პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ხაზით — მძლეოსნები, კალათბურთელები (ქალები), მოჭიდავეები, მოცურავეები, წყალში მხტომელები, მაგიდის ჩოგბურთელები.



სურათზე: ნ. ასათიანი (მარცხნივ) დროულად უვნებელყოფს ვ. ფეოკტისტოვის (რსფსრ) იერიშს.

ფოტო ი. შაინსკისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

24 მარტი

შაბათი, № 59 (1910)
1962 წ.
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

## საფარიკაო ბილიკებზე

კიევის საფარიკაო ბილიკებზე გამართული შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ბრძოლაში ჩაებნენ დაშნით მოფარიკავეები.

შეჯიბრებაში თავი ისახელა დინამოელმა ა. ჩერნუშევიჩმა, რომელმაც თანაბარი სიძლიერით ჩაატარა ყველა შეხვედრა და დამსახურებულად მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელი. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები შესაბამისად მოიპოვეს „სპარტაკის" წარმომადგენლებმა ვ. ჩერნიკოვმა და დ. ლუ-ლინმა.

ესპადრონით მოფარიკავეთა შეჯიბრებაზე მაყურებელთა განსაკუთრებულ სიმპათიებს იმსახურებდა ნ. ასათიანის ბრწყინვალე ტექნიკა და აგრესიული სტილი.

## სპორტსმენები აღნიშნავენ მნიშვნელოვან თარიღს

მიმდინარე წლის 5 მაისს დაარსებიდან 50 წელი უსრულდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს—„პრავდას". ამ თარიღის აღსანიშნავად სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ გადაწყვიტა ყოველწლიურად გაიმართოს ტრადიციული მასობრივი შეჯიბრებანი მძლეოსნურ კროსსა და ტანვარჯიშში, გაზეთ „პრავდის" პრიზზე.

საკავშირო შეჯიბრება მძლეოსნურ კროსში ტარდება სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე მოეწყობა შიდასაკოლექტივო კროსები, რომელმაც უნდა გამოავლინოს კოლექტივებში საამქროების, ფაკულტეტების, განყოფილებების, ბრიგადების საუკეთესო გუნდები და სპორტსმენები.

ამ ეტაპის შეჯიბრების პროგრამაშია მამაკაცებისათვის (ჭაბუკებისათვის) — რბენა 1 000 მეტრზე და ქალებისათვის (გოგონებისათვის) რბენა 500 მეტრზე. ჭაბუკთა და გოგონათა ასაკი განისაზღვრება 1944-46 წლებში დაბადებულებით. პირველ ეტაპზე გამარჯვებული კოლექტივებს საკითხს მასობრიობისა და ხარისხის გათვალისწინებით განსაზღვრავს საორგანიზაციო კომიტეტი.

რაც შეეხება მეორე ეტაპის — საქალაქო და რაიონულ კროსებს, ეს ღონისძიება გაიმართება ცალკე ჯგუფებად წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, პროფტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობათა კოლექტივებისათვის.

ამ ეტაპზე კროსის პროგრამაშია ვაჟებისათვის 3000 მ, ქალებისა და ჭაბუკებისათვის — 1000 მ, გოგონებისათვის — 500 მ. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ფიზკულტურული კოლექტივების ნაკრები გუნდები. შეჯიბრების შემდეგ ჯგუფების მიხედვით გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან გაზეთ „პრავდის" დიპლომებით. ამასთან I და II ეტაპის ყველა შეჯიბრება უნდა დამთავრდეს აპრილში.

მესამე ეტაპს წარმოადგენს საკავშირო ფინალური შეჯიბრებანი, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოლებენ მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. თვითეული გუნდი 48 კაცით განისაზღვრება. ფინალში მონაწილეობას მიიღებენ საზღვარგარეთული გუნდები და ცალკეული სპორტსმენებიც, რომლებიც გამოვლენ უძლიერესთა გარბენში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად. სხვაგვარია ფინალური შეჯიბრების პროგრამაც. აქ მამაკაცები ერთმანეთს შეეცილებიან 8000 მეტრზე, 1941-43 წ. დაბადებული ვაჟები — 3000 მეტრზე, უფროსი ასაკის ქალები — 2000 მეტრზე და 1941-43 წ. დაბადებული ქალები — 1000 მეტრზე რბენაში.

ფინალში თამაშდება, როგორც საერთო გუნდური, ისე გუნდური და პირადი პირველობანი ცალკეულ სახეობებში.

რაც შეეხება მეორეს — ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებას, მასში მონაწილეობენ მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენები. ტარდება შემსუბუქებული პროგრამით დაბალი თანრიგოსნებისათვის და პირად-გუნდური შეჯიბრება II, I თანრიგოსნებისა და ოსტატებისათვის. შეჯიბრებანი დაბალთანრიგოსნებისათვის ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპს წარმოადგენს შიდასაკოლექტივო შეჯიბრებანი და ტარდება აპრილში, მეორეს—რაიონული და საქალაქო შეჯიბრებანი ფიზკულტურის კოლექტივებს შორის და ტარდება მაისში. მეორე ეტაპზე ჯგუფებად დაყოფა ისეთივეა, როგორც მძლეოსნური კროსის დროს.

ყოველ კოლექტივს ერთდაიმავე პროგრამით გამოჰყავს გუნდი ერთი სქესის 5 სპორტსმენით. ამასთან ყოველ კოლექტივს შეუძლია ყოველ 250 სტუდენტსა თუ მოსწავლეზე (1-3 კლასების ჩაუთვლელად) და 1000 მუშაზე გამოიყვანოს თითო გუნდი. მრავალჭიდის ცალკეულ სახეობაში ჩათვლაში შედის 4-ის შედეგი. გუნდი, რომელიც მრავალჭიდში 100 ქულაზე ნაკლებს დააგროვებს, გუნდურ ჩათვლაში ვერ შევა.

I ეტაპის 5 ათას საუკეთესო მონაწილეს, რომლებიც მოზრდილთა III და ჭაბუკთა II თანრიგში დააგროვებენ ყველაზე მეტ ქულას, სპორტკავშირის რესპუბლიკური და საქალაქო საბჭოები დააჯილდოებენ გაზეთ „პრავდის" სამახსოვრო სამკერდე ნიშნებით. მონაწილეთ, რომლებიც 40 ქულას მოაგროვებენ, მიიღებენ მოზარდთა III ან ჭაბუკთა II თანრიგს, ხოლო ის ჭაბუკები და გოგონები, რომლებიც დააგროვებენ 32 ქულას და ზევით, დაჯილდოვდებიან „ნორჩი ტანმოვარჯიშის" ნიშნით.

II და I თანრიგის, აგრეთვე ოსტატების შეჯიბრება შედგება 3 ეტაპისაგან: I ეტაპია — შეჯიბრება რაიონულ და საქალაქო პირველობაზე. აქ თამაშდება პირადი პირველობა სამივე თანრიგში და გუნდური — ყველა (სამივე) თანრიგის ჯამში. მეორე ეტაპი — I თანრიგოსანთა და ოსტატთა რესპუბლიკური შეჯიბრებანი; მესამე ეტაპი — საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება, რომელიც 8-13 მაისს გაიმართება მოსკოვში.

უკანასკნელ ეტაპზე დაიშვებიან მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ტანმოვარჯიშენი და გაითამაშებენ „პრავდის" გარდამავალ პრიზს.



სურათზე: მომენტი განვლილი საწვრთნელი მატჩიდან კიევის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შორის. ქუთაისელთა ცენტრალური ფორვარდი ხაჟალია კიეველ ტურიანჩიკთან (№ 8) ბრძოლის მომენტში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ღამით ჯგუფურ ხტომაში

მოსკოვში, ტუშინოს აეროდრომზე ღამით ზუსტად დაშვების მსოფლიო რეკორდზე (14.48 მ) იერიში მიიტანეს საბჭოთა პარაშუტისტებმა ქ. კოსტიენკომ, ა. ბეკმურზინმა, ე. დროზდოვმა და ა. გარდიენკომ და წარმატებებსაც მიაღწიეს. 1.500 მ სიმაღლიდან პირველი გადმოეშვა ქ. კოსტიენკო, რომელიც ანთებული ფარნით გეზს აძლევდა დანარჩენებს.

საბჭოთა სპორტსმენებმა მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესეს 4 მ და 22 სმ-ით, დაეშვნენ რა ცენტრიდან 10 მ 26 სმ-ზე.

## საკავშირო რეკორდი

29-30 აპრილს თბილისში გაიმართება საქართველოსა და აზერბაიჯანის მოზარდ მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა. ამ ღონისძიებისათვის ძალთა ერთგვარ დათვალიერებას წარმოადგენდა თბილისის პირადი პირველობა უფროსი ასაკის (1944-45 წ. დაბადებულნი) სპორტსმენთა შორის.

გასული თვის დამლევს გამართულ საქალაქო პირველობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა მ. თყროშიძემ ბირთვის კვრაში დაამყარა რესპუბლიკური რეკორდი. ამჯერად იგი, როგორც ჭაბუკი, ძალებს ცდიდა 6 კგ ბირთვით და აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 17 მ 76 სმ, რაც საგრძნობლად აღემატება მისსავე ჭაბუკთა საკავშირო რეკორდს.

სხვა სახეობებში აღსანიშნავია: ჭაბუკთა შორის შუბის ტყორცნაში გ. ძაველურის (თბილისის მე-2 სკოლა-ინტერნატი) გამარჯვება — 53.43 მ. სიმაღლეზე ხტომაში ტ. გაგოშიძემ (მე-17 საშ. სკოლა) 15 სმ-ით მოუგო უახლოეს კონკურენტებს და 180 სმ-ს დაძლევით დაიკავა პირველი ადგილი. 400 მ რბენაში ერთმანეთს კარგახანს მხარდამხარ მიჰყვებოდნენ სპარტაკელი ზ. აზატიანი და ე. ჩიქოვანი. ზ. აზატიანმა მოწინაალმდეგეს მოუგო 0,1 წამი და აჩვენა 57,7 წ. 100 მ რბენის ფინალში ფინიშზე პირველი იყო ვ. ოგანეზოვი — 11,5. აქ მეორე იყო ა. დავიდოვი (მანქანათმშენ. ტექნიკუმი).

## გუშინ სპორტის სასახლეში

გუშინ სპორტის სასახლეში შედგა საერთაშორისო შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში. ერთმანეთს ხვდებოდნენ „გვარდია" (პოლონეთი) და თბილისის ნაკრები.

შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 7:1.

დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.

# ბავშვთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე აყვანა დიდი, კეთილშობილური საქმეა!



**სურათზე:** თბილისის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის ნორჩი აკრობატები — ნ. შარმანაშვილი, თ. ნუცუბიძე, ვ. გიორგობიანი და ე. ალთუნაშვილი ასრულებენ ვარჯიშს.

ფოტო გ. ჟორჟოლიანისა.

# პერსპექტიული რეზერვისათვის

გაიმართა საქართველოს მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა მოხსენება ბავშვთა შორის მძლეოსნობის განვითარების მდგომარეობა რესპუბლიკაში და მისი შემდგომი ამოცანები.

უკანასკნელ წლებში მოსწავლეთა შორის საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშაობა, ამაღლდა შედეგებიც და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ხშირად გამოდიან საპრიზო ადგილებზე.

გაუმჯობესდა მუშაობა რაიონებში, სოფლის სკოლებში. გარდა იმისა, რომ თბილისში, ბათუმსა და ცხინვალში მუშაობენ მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლები, სხვადასხვა რაიონში შექმნილია განათლების სისტემის სპორტული სკოლების 287 ჯგუფი. ეს იძლევა მძლეოსნობის ფართოდ განვითარების საშუალებას მოსწავლეთა შორის.

რესპუბლიკის სოფლის სკოლების მოსწავლეთა დაინტერესებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1960-61. წლებში მათთვის ცალკე გაიმართა რესპუბლიკური შეჯიბრება. ეს დადებითი გამოცდილება მოიწონა საბჭოთა კავშირის მძლეოსნობის ფედერაციამ. ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გასაწევად საქართველოს 34 რაიონსა და 114 სოფელში მივლინებულ იქნენ სპეციალისტები.

ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რესპუბლიკებში ჭაბუკ მძლეოსანთა ძირითადი მასა მზადდება სპორტულ საზოგადოებებში, ჩვენში კი პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებები უკანასკნელ მომენტამდე შევსებას იღებდნენ არა საკუთარი კადრებიდან, არამედ განათლების სამინისტროს სისტემაში აღზრდილ ნორჩ მძლეოსანთა ხარჯზე. „დინამომ" გასულ წელს მოსწავლეთა ნაკრებს მხოლოდ ორი მძლეოსანი მისცა. სუსტია მუშაობა „ბურევესტნიკში", „ლოკომოტივსა" და „სპარტაკში". ამ საზოგადოებებში მხოლოდ უკანასკნელ ხანს გახსნეს რამდენიმე ჯგუფი ბავშვებისათვის.

მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ბათუმის ქალაქის განყოფილების მძლეოსნური სკოლის მუშაობის შედეგები. მიუხედავად დიდი შესაძლებლობებისა, ამ კოლექტივმა ერთი წევრიც კი ვერ მისცა მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებს. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ცხინვალის მძლეოსნური სკოლის საქმიანობა. ცხინვალელებს წარსულის კარგი ტრადიციები აქვთ, მაგრამ უკანასკნელ წლებში არავითარ შევსებას არ აძლევენ რესპუბლიკას. არასათანადოდაა დაყენებული მუშაობა თერჯოლის, ზესტაფონის, წყალტუბოს, მცხეთის, თელავის, ფოთის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებში.

არასახარბიელოდ დგას სკოლებს შორის მძლეოსნობაში შეჯიბრებათა ჩატარების საქმე თბილისში. ისინი ან სრულებით არ ეწყობა, ან თუ ეწყობა, არაორგანიზებულად. სპეციალიზებულ სკოლებსაც კი არა აქვთ შესაფერისი ბაზები ნორმალური წვრთნის ჩასატარებლად.

მძლეოსნობის განვითარებას მოსწავლეთა შორის ხელს უშლის ისიც, რომ მათი სწავლების საქმე მინდობილი აქვთ ამ საქმის არასპეციალისტებსა და ნაკლებად დაინტერესებულ პირებს. ასეთთა რიცხვს სამწუხაროდ, თბილისის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის ზოგიერთი მწვრთნელიც მიეკუთვნება. მწვრთნელი ბახტინი ერთხანს 4 ადგილზე მუშაობდა შეთავსებით და საქმე ყველგან ჩაშლამდე მიიყვანა. გარდა ამისა, იგი სუსტია, როგორც მწვრთნელი, მოკლებულია აღმზრდელის თვისებებს, სწორედ ამიტომაც დაითხოვეს იგი ბევრგან, მაგრამ თბილისის განათლების განყოფილების სპორტულ სკოლაში მაინც შემორჩა თანამდებობას და 5 წლის განმავლობაში ვერც ერთი მაღალი თანრიგის სპორტსმენის აღზრდა ვერ შეძლო. იგივე ითქმის მწვრთნელებზე ჩერნიშოვზე და სადოვოიზე.

პლენუმზე ლაპარაკი იყო ბაზების სიმცირეზე, თბილისის ლენინის სახელობისა და ქუთაისის „დინამოს" სტადიონების მოუწყობლობაზე, რომ არ ტარდება კომპლექსური შეჯიბრებანი მშთ მრავალჭიდში, რაც დამწყებ მძლეოსანთა აღზრდის ყველაზე კარგი საშუალებაა, ძნელი საშოვარია სპორტინვენტარი. თბილისის სპორტნაწარმის ფაბრიკების მიერ გამოშვებული მძლეოსნური ფეხსაცმელები მეტად მდარე ხარისხისაა.

პლენუმმა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მიიღო დადგენილება. მეორე დღეს რაიონებიდან ჩამოსული მძლეოსნობის მწვრთნელებისა და ფიზაღზრდის მუშაკებისათვის რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელებმა ე. გაგუამ, ე. გოკიელმა, ნ. ლობჟანიძემ, ბ. დიაჩკოვმა, ნ. დუმბაძემ და სხვებმა წაიკითხეს ლექციები სპრინტერის, შუბის მტყორცნელის, სიმაღლეზე მხტომელის, ბადროს მტყორცნელისა და ბირთვის მკვრელის წვრთნის მეთოდების შესახებ, რამაც დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

# ამას ბოლო უნდა მოეღოს

1961 წელს მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს მოსწავლე ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი მოიხსნა ფინალური შეჯიბრებიდან და რესპუბლიკის კოლექტივს დაეწერა 19 საჯარიმო ქულა. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილე სპორტსმენები და მათი მწვრთნელები საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მკაცრად დაისაჯნენ (მოთამაშეებს დისკვალიფიკაცია მიეცათ 3 წლით). გარდა ამისა, განათლების სამინისტროს ბრძანებით აჭარის ფეხბურთის გუნდი მოიხსნა გათამაშებიდან, რის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის კოლექტივმა საქართველოს მოსწავლეთა XIII რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე საერთო მეორე ადგილიდან გადაინაცვლა მესამეზე.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსწავლეთა XIV რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე წარმოდგენილ განაცხადებში ფეხბურთელთა შორის მაინც აქვს ადგილი ასაკგადაცილებული და სკოლადამთავრებული მოსწავლეების შემოტყუების ცდას. იმ დროს, როცა წლევანდელ გათამაშებაში დაშვებული არიან 1945-47 წლებში დაბადებული ბავშვები, განაცხადში წარმოდგენილი არიან გადასწორებული საბუთებით 1944 და 1943 წლებში დაბადებულნი. ასე მაგალითად, წინა წლების განაცხადებთან შედარებით გამოირკვა, რომ 1944 წელს არიან დაბადებულნი: ზუგდიდელი მოსწავლეები ა. აბრალავა და ი. სალია (მწვრთნელი ა. დიდიშვილი), ჩხოროწყუს სკოლის მოსწავლე ო. კვირკველია (მწვრთნელი კ. ყურაშვილი), მაიაკოვსკელი თ. გუმბერიძე (მწვრთნელი ვ. ჯაფარიძე), ვანის გუნდის წევრი გ. კობახიძე (მწვრთნელი ა. ნიკოლეიშვილი), ხაშურელი გ. მჭედლიძე (მწვრთნელი ჯომარდიძე), ლაგოდეხელი თ. მიკუჩაძე (მწვრთნელი გ. ბოკერია), ფოთელი ჯ. გურგენაძე (მწვრთნელი კ. სერგია), ამბროლაურელი ზ. დონაძე (მწვრთნელი ა. ვაჩაძე).

2 წლით გადაზრდილები, ე. ი. 1943 წელს დაბადებულნი აღმოჩნდნენ: კასპის გუნდში — ქ. გაბარაშვილი (მწვრთნელი ნ. კუგაია), დუშეთის გუნდში — ა. ხუციშვილი (მწვრთნელი გ. ბუჩაშვილი).

წყალტუბოს მოსწავლეთა გუნდის განაცხადში მოსწავლე ნ. ფხაკაძის ფოტოსურათის ნაცვლად ჩაკრულია ბ. ჰუმბურიძის სურათი, რომელიც დაბადებულია 1943 წელს.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ რაიონისა და ქალაქების სპორტსკოლების, სპორტკავშირების ხელმძღვანელობა და გუნდების მწვრთნელები კეთილსინდისიერად არ ეკიდებიან ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს, დაყენებით ცდილობენ მსაჯთა კოლეგიის შეცდომაში შეყვანას და არ გრძნობენ პასუხისმგებლობას ბავშვთა სწორად აღზრდის საკითხში.

ზემოაღნიშნული მოსწავლეები მოხსნილი არიან გათამაშებიდან, როგორც გადაზრდილები, მათ მწვრთნელებსა და სპორტსკოლათა დირექტორებს მიეთითათ.

**ზ. ჩხოგაძე,**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი.**

# იზრდება ცვლა

გასული წლის სექტემბერში „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებულ ხუთჭიდელთა სექციასთან ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ჯგუფი. 10-18 წლის ასაკის 25-მდე ახალბედამ დაიწყო პისტოლეტიდან სროლის, ცურვისა და კროსის ტექნიკის ათვისება, უფრო მოგვიანებით კი საწვრთნელ ვარჯიშთა კომპლექსში ფარიკაობა და ცხენოსნობა ჩართეს.

თანამედროვე ხუთჭიდის ენთუზიასტის — სპორტის ოსტატ ს. როგავას ხელმძღვანელობით ჯგუფმა მოკლე დროის განმავლობაში გარკვეულ წარმატებას მიაღწია და ახლახან პირველად მიიღო მონაწილეობა ჭაბუკთა სამჭიდის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში.

პირველივე სახეობის — სროლის შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა და 8 მონაწილემ შეასრულა მოზრდილთა III თანრიგი. საუკეთესო შედეგი ჰქონდა ტ. ნადარეიშვილს — 188 ქულა.

100 მეტრზე ცურვასა და 800-მეტრიან კროსში შესაბამისად გაიმარჯვეს ი. ალექსეევმა და ტ. შოვნაძემ.

სამჭიდში პირველობა მოიპოვა ა. მაროტიმ, რომლის შედეგია 2134 ქულა. მეორე ადგილზეა ტ. შოვნაძე, მესამეზე — შ. კერესელიძე. აღსანიშნავია, რომ სამივე პრიზიორმა შეასრულა მოზრდილთა I თანრიგი.

**ბ. კამენსკი,**

**სპორტის ოსტატი.**

# ნორჩები ცდიან ძალებს

ხაშურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში მოეწყო ნორჩ მოჭადრაკეთა შეჯიბრება, სადაც მონაწილეობდა 18 ნორჩი მოჭადრაკე. ოქტომბრელთა შორის რ. მარნაძემ 17 ქულა მოაგროვა და გაიმარჯვა. პიონერთა საჭადრაკო ტურნირში ყველაზე კარგი შედეგი აღმოაჩნდა სურამის 8-წლიანი სკოლის მოსწავლეს ი. მანაშეროვს.

• • •

რაიონის სასკოლო გუნდურ პირველობაში კარგად მომზადებული მოჭადრაკეები გამოიყვანა ხაშურის მე-2, რკინიგზის მე-12 და მე-13 საშუალო სკოლებმა, რომლებმაც მოიპოვეს კიდეც საპრიზო ადგილები.

**ზ. მოსეშვილი**

# სოხუმელთა უპირატესობით

რამდენიმე დღეს გრძელდებოდა სოხუმში აფხაზეთის პირველობა სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, აგრეთვე აკრობატიკაში გოგონათა და ჭაბუკთა შორის. მასში მონაწილეობა მიიღეს სოხუმის, ტყვარჩელის და გუდაუთის ბავშვთა სპორტსკოლების გუნდებმა.



სპორტულ ტანვარჯიშში გოგონათა შორის, რომლებიც ოსტატთა პროგრამით გამოდიოდნენ, პირველი ადგილი დაიკავა სოხუმელმა ვ. ნარსიამ, ხოლო პირველი თანრიგის პროგრამით გამოსულთა შორის — მისივე თანაგუნდელმა ე. კაბლიცკაიამ.

ჭაბუკთა შორის ოსტატთა პროგრამაში უძლიერესი იყო ე. ადაქტილოვი, ხოლო პირველთანრიგოსანთა შორის — ლ. მელაძე (ორივე სოხუმიდან).

მხატვრულ ტანვარჯიშში მონაწილეები გამოდიოდნენ პირველი თანრიგის ვარჯიშებით. საპრიზო ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა სოხუმელ სპორტსმენებს შორის: ჟ. კაკულია, ლ. ჯლარკავა და მ. გონჩაროვა.

საინტერესოდ ჩატარდა აკრობატთა ასპარეზობა, სადაც გამარჯვებულნი კვლავ სოხუმელები ს. პანკული (ჭაბუკებში) და ვ. ანტონოვა (გოგონებში) იყვნენ. წყვილთა გამოსვლებშიც პირველი ადგილი ნ. პოგონიამ და ა. ჩაინიკოვმა (სოხუმი) დაიკავეს. გუდაუთელებმა გ. ლომთაძემ, ვ. ვოლოსენკომ და ვ. კობელევამ გაიმარჯვეს სამეულთა გამოსვლებში.

**სურათზე:** მხატვრულ ტანვარჯიშში გამარჯვებული ჟ. კაკულია.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

# მარტო ქარი უშლიდა ხელს?

✦

**საქართველოს 1962 წლის პირველობა ტყვიით სროლაში**

✦

მალე კიევში გაიმართება ჩვენი ქვეყნის იმ გუნდების შეჯიბრება ტყვიით სროლაში, რომლებმაც საკავშირო პირველობაზე მოიპოვეს I-VIII ადგილები. აქ გამარჯვებისათვის იბრძოლებენ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოსა და სხვათა კოლექტივები. ღონისძიებისათვის სამზადისს კარგახანია შეუდგნენ ჩვენი რესპუბლიკის მსროლელები, მაგრამ საჭირო იყო უძლიერესთა გამოვლინება, ამიტომაც სროლის რესპუბლიკურმა ფედერაციამ ავჭალის სასროლეთზე რესპუბლიკური პირველობის ჩატარება გადაწყვიტა.

ქარი, რომლის სიძლიერე 6 ბალს აღწევდა, საგრძნობლად მოქმედებდა მონაწილეთა შედეგებზე. ამის მიუხედავად ცეცხლის ხაზზე არაერთი ოსტატი და ძლიერი პირველთანრიგოსანი გამოვიდა, თუმცა როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ვერავინ შეძლო პირველი თანრიგის შედეგის ჩვენება. უამინდობამ ყველაზე მეტად დააზარალა გუნდები, რადგან ჩათვლაში შედიოდა არანაკლები პირველთანრიგის შედეგისა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ შეჯიბრებაში სრული გუნდების გამოყვანა შეძლეს მხოლოდ თბილისის არმიელთა სპორტულმა კლუბმა და დოსააფ-მა, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო კი მხოლოდ ცალკეული სპორტსმენების მოვლინებით დაკმაყოფილდა.

პირად პირველობაზე ვაჟთა შორის ყველას მაინც თბილისელმა ოსტატმა გ. ბექთაშევმა (სკა) აჯობა, რომელმაც 573 ქულა მოაგროვა და 9 ქულით გაასწრო ქუთაისელ თ. თოფურიძეს (დოსააფ-ი). მისი თანაგუნდელი ვ. კრასნოპოლსკი (ბათუმი) მესამე ადგილით დაკმაყოფილდა — 563 ქულა. ქალთა შორის სამივე საპრიზო ადგილი დოსააფელებს ა. ორჯონიკიძეს (თბილისი) — 559; ი. იოფისს (ბათუმი) — 551 და თ. გარბანოვას (თბილისი) — 546 ქ. დარჩათ.

შეჯიბრების მეორე დღეს უფრო კარგი შედეგი იქნა ნაჩვენები მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში. ვაჟთა შორის (60 გასროლა 50 მეტრზე) რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა დინამოელი ოსტატი დ. ფილიევი — 540 ქულა. მართალია I თანრიგი აჩვენეს მომდევნო პრიზიორებმაც—ს. სტარკოვმა (520 ქ) და ვ. ერმიშიანმა (ორივე სკა) — 513 ქ. მაგრამ ისინი საგრძნობლად ჩამორჩნენ გამარჯვებულს.

ვაჟთა შეჯიბრებაში დამარცხებისათვის ქალებმა აიღეს რევანში, როცა მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან მრგვალ სამიზნეებზე სროლაში (30 გასროლა) უპირატესობა ვ. ტიმოფეევას მხარეს იყო — 258 ქ. მისი თანაგუნდელი ქ. ფოტიევა გამოვიდა მეორე ადგილზე — 549 ქ. მესამეზეა დოსააფელი ო. ლიპარტელიანი (ქუთაისი) — 244 ქ. მაგრამ ეს უკანასკნელი შედეგი უკვე არ აკმაყოფილებს ჩასათვლელ ნორმატივს — I თანრიგს (245 ქ).

„ირემზე ნადირობა“ 50 ერთმაგი გასროლით პ. კაიუდას გამარჯვებით დამთავრდა. მან 211 ქულა მოაგროვა. თუმცა გ. ბოსტოღანაშვილმა — 203 ქ. და ე. მიტიანიანმა — 201 ქულა მიიღეს, მაგრამ ამ შედეგებითაც კმაყოფილნი იყვნენ, რადგან სამივე პრიზიორი თანაგუნდელები არიან.

ერთი საუწყებო რეკორდით აღინიშნა მორიგი ვარჯიში — მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სტანდარტზე (3×20) სროლა, როცა ჩოქელა სროლაში ვაჟთა შორის პირველ ადგილზე გამოსულმა თ. თოფურიძემ (დოსააფი) —191 ქ. მოაგროვა.

სტანდარტის ცალკეულ ვარჯიშებში თანაბარი სიძლიერით ისროდა დინამოელი ოსტატი თ. მეგრელიშვილი. მას ბრძოლა ძირითადად საბჭოთა კავშირის რეკორდსმენ ა. შამეკოსთან ჰქონდა. დინამოელი პირველი იყო დგომელა სროლაში, მეორე — წოლელა და ჩოქელა სროლაში, ჯამში მოაგროვა 559 ქულა და 7 ქულით გაასწრო უახლოეს კონკურენტს ა. შამეკოს.

მესამე ადგილზე გამოვიდა ახალგაზრდა ვ. პელენიევი (დოსააფი) — 550 ქულა, სამაგიეროდ, იგი პირველი იყო წოლელა სროლაში (193 ქულა). ქალთა შორის სტანდარტში გამარჯვებული გამოვიდა ბათუმელი ი. იოფისი — 537 ქულა.

ამრიგად, სამი დღის განმავლობაში დამთავრდა ოთხი ვარჯიში და ოსტატის არც ერთი შედეგი არ იქნა ნაჩვენები, არც ერთი რესპუბლიკური რეკორდი არ გაუმჯობესებულა.

**ო. გელაშვილი**

• • •





**სურათზე:** საქართველოს ჩემპიონი მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლელა (60 გასროლა) სროლაში, გ. ბექთაშევი. მარჯვნივ—დოსააფის უძლიერესი მსროლელი ა. ორჯონიკიძე.

# შ. ქველიაშვილი და ვ. სალუქვაძე წავლენ კაიროში

**კიევში დაიწყო ჩვენი ქვეყნის ნაკრების კანდიდატთა შეჯიბრება ტყვიით სროლაში. გამარჯვებული სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც კაიროში გაიმართება. საქართველოდან შეჯიბრებაში გამოდიან: ვაჟთა შორის — შ. ქველიაშვილი და ვ. სალუქვაძე, ქალთა შორის — ვ. გრუზდევა.**

**ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა შ. ქველიაშვილმა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლელა სროლაში (60 გასროლა) 600 შესაძლებლიდან მხოლოდ 9 ქულა დაკარგა და 591 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა. წარმატებას მიაღწია ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა ვ. სალუქვაძემაც. იგი გამოდიოდა რა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე მსროლელთა შეჯიბრებაში, უკან ჩამოიტოვა ყველა კონკურენტი, 600 შესაძლებლიდან 529 ქულით მოიპოვა პირველი ადგილი და დამკვიდრდა კაიროში წამსვლელთა რიგებში.**

**ქალთა შეჯიბრება ჯერ არ დაწყებულა.**

# ცენტრალური საბჭოს პირველობაზე

**ბაკურიანი.** (ტელეფონით). აქ გრძელდება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში. საზოგადოების ჩემპიონობისათვის ერთმანეთს ებრძვიან მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოსა და სხვათა საუკეთესო სამთო-მოთხილამურენი, ორჭიდელები, ტრამპლინიდან მხტომელები.

შეჯიბრება გახსნეს 70-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელებმა. ამ სახეობაში უძლიერესი იყო სვერდლოვსკელი ოსტატი ე. ზაკალიუკინი, რომელმაც უკან ჩამოიტოვა მოსკოველები ა. აფანასიევი და მ. ზოტოვი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ზ. თვაური მეათე ადგილზე გამოვიდა.

ორჭიდელთა შეჯიბრებაში ტრამპლინიდან ხტომაში დაწინაურდა ზაკალიუკინი, 15 კმ რბენა კი მოიგო ესტონელმა ხ. მეენმა, ორჭიდის ჯამში ისევ ზაკალიუკინს დარჩა უპირატესობა.

შეჯიბრება სწრაფდაშვებაში ჩატარდა კოხტაგორაზე. ქალთა შორის ჩემპიონობა წილად ხვდა გ. ვოლკოვას (მოსკოვი), მეორე ადგილზეა ა. კონიაევა (რსფსრ), მესამეზე—ქ. ბანდური (საქართველო). ვაჟთა შორის ძირითადი ბრძოლა გაიმართა ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ მოსკოველ ა. ფილატოვსა და გ. აბრამაშვილს შორის. გამარჯვება დარჩა გამოცდილ ოსტატს. აბრამაშვილი მეორე ადგილზე გამოვიდა.

## კალათბურთი

გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული შეხვედრები.

ლენინგრადში თამაშობდა ადგილობრივი „სპარტაკი“ რიგის ვეფის წინააღმდეგ. შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელმა კალათბურთელებმა — 98:79. შემდეგ ვეფი შეხვდა ლენინგრადის არმიელთა კოლექტივს. უპირატესობა ამჯერად რიგელთა მხარეს იყო, რომლებმაც მოიპოვეს კიდევ გამარჯვება — 79:68.

**გათამაშების ცხრილი**

**ვაჟები**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკა (რიგა) | 11 | 11 | 0 | 11 |
| ცსკა (მოსკოვი) | 10 | 8 | 2 | 8 |
| „დინამო“ (თბილისი) | 8 | 6 | 2 | 6 |
| „სპარტ“. (ლენინგრ.) | 10 | 6 | 4 | 6 |
| ვეფი (რიგა) | 11 | 6 | 5 | 6 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 9 | 5 | 4 | 5 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 10 | 5 | 5 | 5 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 10 | 5 | 5 | 5 |
| „ურალმაში“ (სვერდ.) | 9 | 3 | 6 | 3 |
| სკა (კიევი) | 9 | 2 | 7 | 2 |
| „ბურ“. (თბილისი) | 10 | 1 | 9 | 1 |
| სკა (ლენინგრადი) | 11 | 1 | 10 | 1 |

## ქალაქებსა და რაიონებში

### თბილისი

„თბილფოსტამტის“ ტურიზმის სექციის 13 წევრმა მოაწყო ლაშქრობა ბორჯომი-ბაკურიანი.

ტურისტებმა თავისი ლაშქრობა მიუძღვნეს საბჭოთა კავშირის ხალხთა „თეთრ სპარტაკიადას“ და დაესწრნენ შეჯიბრებას. აღსანიშნავია, რომ ამ კოლექტივის ტურისტები უკვე მეორედ ატარებენ ზამთრის ტურისტულ ლაშქრობას.

**ე. მერაბიშვილი**

### ბათუმი

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე მოეწყო აჭარის 1962 წლის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. 100 მეტრზე რბენაში აჭარის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ბათუმის რაიონის წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა თ. როუმანოვამ — 12,8. მანვე გაიმარჯვა სიგრძეზე ხტომაში — 5 მ 32 სმ. 200 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ქ. მიხაილოვამ (ბათუმი), ხოლო სიმაღლეზე ხტომაში — მისმა თანაგუნდელმა ა. თოთიბაძემ (1 მ 45 სმ).

ორი გამარჯვება—ბადროს ტყორცნასა (48 მ 46 სმ) და ბირთვის კვრაში (12 მ 70 სმ) მოიპოვა ბათუმელმა სპორტის ოსტატმა ლ. ტუღუშმა. ყუმბარის ტყორცნაში აჭარის ჩემპიონი გახდა ქედის რაიონის წარმომადგენელი გ. ვარშანიძე.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ბათუმელმა მძლეოსნებმა.

**ი. კუსიდი**

### ჩოხატაური

ჩოხატაურის რაიონში ჩატარდა „კოლმეურნეს“ პირველობა ჭადრაკსა და შაშში. მოჭადრაკეთა ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდა 18 სპორტსმენი, I-II ადგილები 14-14 ქულით გაიყვეს ლ. მამალაძემ და ო. ოსეფაიშვილმა. ჩემპიონის გამოსავლინებლად მათ შორის ჩატარდა დამატებითი შეხვედრა, რომელშიც გაიმარჯვა ო. ოსეფაიშვილმა.

ო. ოსეფაიშვილმა I ადგილი დაიკავა მოშაშეთა შეჯიბრებაშიც.

**დ. გურგენიძე**

# ანგარიში 22-ჯერ გათანაბრდა

გასულ ხუთშაბათს, სპორტის სასახლეში გაიმართა მიმდინარე წლის პირველობის კალენდარული შეხვედრა კალათბურთში მოსკოვის „დინამოსა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის.

მატჩი აღსავსე იყო დაძაბული და საინტერესო მომენტებით. შეხვედრის თითქმის მთელს მანძილზე გაურკვეველი იყო ვის დარჩებოდა გამარჯვება. გუნდები დაწინაურებას 2-3 ქულით თუ ახერხებდნენ მხოლოდ. იყო მომენტი, როდესაც თბილისელი სტუდენტები პირველ ნახევარში 8 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგ სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში. მათი გიგანტის ა. პეტროვის, რომელიც თავისუფლად მოქმედებდა დაცვასა და თავდასხმაში, უვნებელყოფა მთავარ და გადაუჭრელ ამოცანად დარჩა „ბურევესტნიკისათვის“. საჭირო იყო პეტროვთან ახლოს თამაში, რათა მას მიეღო პერსონალური შენიშვნები. სამწუხაროდ ეს „სანატრელი“ წუთი გვიან დადგა. 35-ე წუთზე პეტროვმა მიიღო 4 პერსონალური და ერთი ტექნიკური შენიშვნა, რის შემდეგაც დატოვა მოედანი. მაგრამ უკვე გვიან იყო. მან 35 ქულა მოუტანა თავის გუნდს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მატჩის მსვლელობაში ანგარიში 22-ჯერ იყო თანაბარი. თამაშის პირველ ნახევარში თბილისელთა მიერ შეთავაზებული ტემპი მოსკოველებმა მეორე ტაიმში კიდევ უფრო გაზარდეს და უფრო აგრესიულად წამოიწყეს მოწინააღმდეგის ფარზე იერიში. ზუსტი სროლების დახმარებით მათ შექმნეს ქულების მარაგი, რაც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. მოსკოვის „დინამომ“ თავის აქტივში ჩაიწერა კიდევ ერთი, რიგით მეხუთე ქულა. შეხვედრის საბოლოო შედეგია 86:79 (47:47) დინამოელთა სასარგებლოდ.

**ვ. ცინცაძე**

• • •



**სურათზე:** მომენტი განვლილი მატჩიდან. თბილისელი ი. ლეჟავა ბურთს ათავსებს მოსკოველთა კალათში.

ფოტო მ. ზარგარიანისა



# ფეხბურთის ახალი ამბები

## ჩემპიონობის სამი პრეტენდენტი

იტალიის მიმდინარე პირველობის დასკვნით თამაშებში გამეორდა წინა ჩემპიონატის ამბავი. „ინტერნაციონალეს“, რომელიც დიდხანს ქულათა განსხვავებით პირველ ადგილზე იყო, ძალები გამოელია და დათმო ლიდერობა. ამასობაში „მილანმა“, ისევე როგორც შარშან „იუვენტუსმა“, ფინიშზე გამოავლინა თავისი ნამდვილი შესაძლებლობანი.

ამჟამად, როდესაც ჩემპიონატის დასასრულამდე ხუთი ტურიღა დარჩა, „მილანი“ 3 ქულით უსწრებს თავის მთავარ მეტოქეებს „ფიორენტინასა“ და „ინტერნაციონალეს“. „მილანის“ (მწვრთნელი ჯიოვანი ფერარი) წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის თავდასხმას, რომელმაც 29 თამაშში გაიტანა 69 ბურთი. თავისი შედეგიანობით მეორე ადგილზეა „ინტერნაციონალეს“, „ბოლონიასა“ და „რომას“ თავდასხმა—51-51 ბურთი. „მილანის“ თავდასხმის ასეთი დიდი შედეგიანობა მარტო განთქმული სნაიპერის ალტაფინის დამსახურება როდია. აქ შედეგიანად თამაშობენ აგრეთვე დანოვა, პივატელი (ორივე მარჯვენა გარემარბია), სანი (№ 8), რივერა (№ 10) და ბარისონი (№ 11). ფინიშზე „მილანი“ თავის მოედანზე ხვდება „პადოვას“, „მანტოვასა“ და „ტორინოს“, აქვს გასვლითი მატჩები „სპალსა“ და „ატალანტასთან“. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ „მილანმა“ ამჯერად პირველი ადგილი უნდა მოიპოვოს.

შარშანდელი კრახის შემდეგ „ფიორენტინას“ (მწვრთნელი შანდორ ჰიდეგკუტი) ახალანდელი შედეგი დიდ წარმატებად მიაჩნია, თანაც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფლორენციელებს უხდებათ ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის თამაშებში მონაწილეობაც. სამაგიეროდ, „ინტერნაციონალეს“ (მწვრთნელი ერერა) ახალანდელი შედეგი არავის აკმაყოფილებს. უკვე ზედიზედ მეორეჯერ ჩემპიონობის „ცხვირწინ“ დაკარგვა საგონებელში აგდებს ამ უმდიდრესი კლუბის მეპატრონეებს, მითუმეტეს, რომ მათ ერერას შეუსრულეს სურვილი, უყიდეს ძვირად ღირებული სუარესი და ჰიტჩენსი.

□

## „მექანიზმი მოძველდა“

ესპანეთის ჩემპიონ „რეალს“ მიმდინარე სეზონის დასაწყისში მისმა მეპატრონემ სანტიაგო ბარნაბეუმ ორი ამოცანა დაუსახა: 1) ესპანეთის უძლიერესი გუნდის წოდების შენარჩუნება, 2) ევროპის ქვეყნების ჩემპიონების თასის დაბრუნება. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ჩემპიონატი ჯერ კიდევ გრძელდება, გუნდმა უკვე შეასრულა პირველი ამოცანა. მეორის შესრულება ბევრად უფრო ძნელია. როგორც ცნობილია, ფრანგი მიმომხილველი რ. პასევანი გაზეთ „იუმანიტეში“ წერდა: „1962 წლის „რეალი“ — ეს აღარაა ძველი უძლეველი „რეალი“. მისი „მექანიზმი“ მოძველდა.

„იუვენტუსთან“ გადამწყვეტი მატჩის მოგების შემდეგ მადრიდელებს ბედმა გაუღიმათ, მათ თასის ნახევარფინალში უნდა შეხვდეს შედარებით უფრო სასურველი მეტოქე — „სტანდარდი“. საყურადღებოა, რომ ბელგიის ჩემპიონის მწვრთნელმა, ფრანგმა ჟ. პრუფმა კენჯისყრის შედეგებით კმაყოფილება გამოთქვა: „ჩვენ არ გვინდოდა „იუვენტუსთან“ თამაში, „რეალს“ კი არ შევეპუებითო“.



ბელგიელებთან შეხვედრის წინ „რეალი“ თავის მოედანზე საწვრთნელ მატჩში შეხვდა „ინტერნაციონალეს“. პირველ ტაიმში იტალიელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ, ჰიტჩენსმა (№ 9) და კორსომ (№ 11) ორჯერ აიძულეს „რეალი“ ცენტრიდან დაეწყო თამაში. მეორე ტაიმში, როგორც იყო „ხმა ალიმაღლა“ ესპანელთა ცნობილმა „დუეტმა“ — დელ სოლმა და დი სტეფანომ. ამ ფეხბურთელებმა მილანელთა კარში ორი საპასუხო ბურთი გაიტანეს და შეხვედრაც ფრედ (2:2) დამთავრდა.


**24 მარტი**

სპორტის სასახლე

**კალათბურთი**

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

**25 მარტი**

ლენინის სახ. დარბაზი

**კალათბურთი**

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

**27 მარტი**

სპორტის სასახლე

**კალათბურთი**

„დინამო“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

**24-29 მარტი**

სპორტის სასახლე

**ხელბურთი**

საბჭოთა კავშირის პირველობა

ზონაში მონაწილეობენ: მოსკოვის, ბაქოს, ერევნის, აშხაბადისა და თბილისის ქალთა და ვაჟთა გუნდები.

დასაწყისი — 24 მარტს 12 ს. დანარჩენ დღეებში 16 ს.




# კუბელი ხალხის სიამაყე

### ხ. კაპაბლანკას გარდაცვალებიდან 20 წლისთავის გამო

✦

თავისი სიცოცხლის დასასრულს მსოფლიო ჩემპიონი ა. ალიოხინი წერდა: „საჭადრაკო სამყარომ ნაადრევად დაკარგა კაპაბლანკა. მის სიკვდილთან ერთად ჩვენ დავკარგეთ ჭადრაკის უდიდესი გენიოსი, რომლის ტოლს ვერასოდეს ვიხილავთ!“.

ხ. კაპაბლანკა უბადლო საჭადრაკო ნიჭით . იყო დაჯილდოებული. ოთხი წლის ხოსემ (იგი დაიბადა კუნძულ კუბის დედაქალაქ ჰავანაში 1888 წლის 19 ნოემბერს) ჭადრაკის თამაში ისწავლა მამისაგან. მალე იგი უკვე უგებდა მამას. ოთხი წლის შემდეგ კუბის უძლიერესი ოსტატი გოლმაიო, რომელსაც უთამაშია ვ. სტეინიცსა და მ. ჩიგორინთან, მას უეტლოდ ვერ უბედავდა თამაშს. 12 წლის ხოსე უკვე კუბის ჩემპიონი იყო.

ნიჭიერი ბავშვის საჭადრაკო გამოსვლებს შეგნებულად ზღუდავდნენ მშობლები, რათა მას სწავლა დაემთავრებია, მაგრამ ნიუ-იორკში გადასვლის შემდეგ (1905 წ.) კაპაბლანკა ყოველ კვირას დადიოდა მანჰეტენის საჭადრაკო კლუბში, სადაც მალე ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ იქცა. ამ წარმატებამ გარკვეული გავლენა იქონია მისი ცხოვრების გზაზე. მხოლოდ 2 წელი ისწავლა კაპაბლანკამ კოლუმბიის უნივერსიტეტში, რის შემდეგ სავსებით მიეცა ჭადრაკს. იგი ძალზე კრიტიკულად უდგებოდა თავის შემოქმედებას და ბევრს მუშაობდა დაოსტატებაზე.

1908 წელს კაპაბლანკა „იპყრობს“ ამერიკის შეერთებულ შტატებს როგორც თავისი ბრწყინვალე თამაშით, ისე თავაზიანობით, ცოცხალი ბუნებით და გარეგნული სილამაზით. გასტროლების დროს მან 130 პარტია ითამაშა ოსტატებთან, რომელთაგან 126 მოიგო. ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა კაპაბლანკამ მატჩზე გამოიწვია აშშ-ს ჩემპიონი გროსმაისტერი ფ. მარშალი. ბრძოლა დამთავრდა კაპაბლანკას სენსაციური გამარჯვებით. მან მოიგო 8 პარტია, წააგო ერთი და 14 ყაიმით დაამთავრა. აშშ-ს ჩემპიონთან უკეთესი შედეგი მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონ ე. ლასკერს ჰქონდა. თუ ამერიკამ აღიარა კაპაბლანკა როგორც დიდი მოჭადრაკე, ევროპაში მას ეჭვის თვალით უყურებდნენ. მაგრამ ეს შეხედულება მალე გაიფანტა სან-სებასტიანის (ესპანეთი) 1911 წლის საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულნი. კაპაბლანკამ აქ იოლად დაიკავა პირველი ადგილი.

ამის შემდეგ დაისვა საკითხი ე. ლასკერთან მისი შეხვედრის შესახებ. მაგრამ თვით კაპაბლანკას ნაადრევად მიაჩნდა ლასკერთან მატჩის თამაში, თუმცა თაყვანისმცემლების ძალდატანებით გაუგზავნა მსოფლიო ჩემპიონს გამოწვევა. მხოლოდ 10 წლის შემდეგ შედგა მათი ორთაბრძოლა, რომელიც კაპაბლანკას გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამ დროისათვის კუბელი გროსმაისტერი უკვე საჭადრაკო ოლიმპზე იდგა. მას თითქმის 8 წლის მანძილზე ერთი პარტიაც კი არ ჰქონდა წაგებული. გაზეთები აჭრელებული იყო კაპაბლანკას ქებით, მას ყველა დროის ჩემპიონად ასახელებდნენ და ყველაფერმა ამან დათვური სამსახური გაუწია. იგი მიეცა თვითდამშვიდებას, შეზღუდა თავისი შემოქმედება, გაურბოდა ნამდვილ ბრძოლას და ღირსეულ მეტოქეებს, რისთვისაც ბოლოს მწარედ დაისაჯა. იგი არასერიოზულად მიუდგა მატჩს ა. ალიოხინთან და 1927 წელს დაკარგა მსოფლიო ჩემპიონობა. შემდეგ, როცა შეიგნო თავისი შეცდომა, ველარ გამოასწორა იგი, ვინაიდან ა. ალიოხინი გაურბოდა მატჩ-რევანშის თამაშს. ამის გამო ორი დიდი მოჭადრაკე ერთმანეთს სამუდამოდ დაემდურა.

ხ. კაპაბლანკას უყვარდა საბჭოთა კავშირი. იგი პირველთაგანი იყო, რომელიც სხვა უცხოელ გროსმაისტერებთან ერთად ჩამოვიდა მოსკოვში 1925 წელს საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო 1935 და 1936 წლებში კვლავ ესტუმრა საბჭოთა კავშირს.

ხ. კაპაბლანკამ თავისი თამაშის სტილით მოაჯადოვა მთელი საჭადრაკო სამყარო. მისი პარტიები გამოირჩეოდა ვირტუოზული ტექნიკით, განსაკუთრებით ენდშპილების თამაშში. კაპაბლანკას ახასიათებდა უდიდესი ინტუიცია პოზიციის შეფასებაში, მხატვრის განუმეორებელი ნიჭი და ალღო. კაპაბლანკამ 1911 წლიდან 1939 წლამდე მონაწილეობა მიიღო 28 საერთაშორისო ტურნირში, რომელთაგან 13 პირველი და 9 მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ამერიკელ ოსტატთა 11 ტურნირში ათჯერ პირველი და ერთხელ მეორე იყო. სულ თავის სიცოცხლეში კაპაბლანკამ ითამაშა 583 პარტია, რომელთაგან 302 მოიგო, 35 წააგო და 246 ყაიმით დაამთავრა .

გენიალურმა მოჭადრაკემ დიდება მოუტანა თავის ქვეყანას — კუბას, რომლის მადლიერმა ხალხმა მას ჰავანაში აღუმართა ძეგლი. რევოლუციური კუბა ამაყობს თავისი თანამემამულით. მისი ხსოვნის აღსანიშნავად (კაპაბლანკა გარდაიცვალა 1942 წლის 24 მარტს) ახლო მომავალში ჰავანაში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა გროსმაისტერებთან ერთად მიწვეულია 14 ქვეყნის მოჭადრაკე. ტურნირში მოსალოდნელია კაპაბლანკას ვაჟიშვილის, მეცნიერებათა დოქტორის, ოსტატ ხ. კაპაბლანკას მონაწილეობაც.

**თ. გიორგაძე**

**რედაქტორი ი. უგულავა.**




# ხვალ! მოტოკროსი

მონაწილეობენ: მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ბაქოს, ერევნისა და სხვა ქალაქების მოტომრბოლელები. ტრასაზე გამოვლენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი, დამსახურებული ოსტატები და ოსტატები.

საქართველოს დოსააფ-ის რესპუბლიკური ავტო-მოტოკლუბის ჯილდოზე. რბოლა გაიმართება რუსთავის მახლობლად.

დასაწყისი 11 საათზე.



გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-02, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00958